

N 299

საქართველოს მთავრობის  
დადგენილება  
2007 წლის 28 დეკემბერი  
თბილისი

ქ.

რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლისა და მისი ოჯახის  
წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის  
დეკლარაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე

1. „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლისა და მისი ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის თანდართული ფორმა.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ უზრუნველყოს რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლის მიერ წარდგენილი შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლის გადაგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საგადასახადო ორგანოსათვის, თუ რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირი კანონიერ საფუძველზე მუდმივად ცხოვრობს საქართველოში (რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის მიხედვით), ან უშუალოდ სსიპ – შემოსავლების სამსახურისათვის, თუ რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელი პირი სხვა ქვეყნის მოქალაქეა ან კანონიერ საფუძველზე მუდმივად ცხოვრობს ამ ქვეყანაში. (20.08.2010 N 253)

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ვლადიმერ გურგენიძე*

დამტკიცებულია  
საქართველოს მთავრობის  
2007 წლის 28 დეკემბრის  
N 299 დადგენილებით

რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლისა და მისი ოჯახის  
წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის  
დეკლარაცია

2----- წლის ----- სათვის

**ნაწილი I. პირადი მონაცემები**

სახელი, გვარი \_\_\_\_\_  
მოქალაქეობა \_\_\_\_\_

მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია, ნომერი და პირადი ნომერი

მუდმივად საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონი

**ნაწილი II. მონაცემები თქვენი, თქვენი ოჯახის წევრების (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე თქვენთან მუდმივად მცხოვრები პირი) შესახებ**

გვარი	სახელი	დაბადების ადგილი	დაბადების წელი	დაბადების თვე	დაბადების რიცხვი	ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი

**ნაწილი III. მონაცემები შემოსავლების შესახებ, რომლებიც მიღებულია თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების მიერ გასული წლის 1 იანვრიდან მიმდინარე წლის 1 იანვრამდე**

3.1 ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, რომელსაც ასრულებთ ან საანგარიშო წლის განმავლობაში ასრულებდით თქვენ, თქვენი ოჯახის წევრი, საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის გარდა

სამუშაოს შემსრულებელი პირი	სამსახური, რომელშიც პირს ეკავა	თანამდებობის დასახელება ან	სამუშაოს შესრულებით
----------------------------	--------------------------------	----------------------------	---------------------

	თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს	სამუშაოს შინაარსი	მიღებული შემოსავალი

3.2. თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობით მიღებული შემოსავლები

საწარმოს საქმიანობა-ში მონაწილე პირი	საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება	მონაწილეობის ფორმა (ინდივიდუალური მეწარმე, პარტნიორი (აქციონერი), კონსულტანტი, სამეთვალყურეო სარევიზიო საბჭოს წევრი, დირექტორი, პროკურისტი, სავაჭრო წარმომადგენელი ან სხვა)	საწარმოს მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის თარიღი	საწარმოს იურიდიული მისამართი	მონაწილეობის დროის მონაკვეთი	საწარმოს საქმიანობით მიღებული შემოსავალი

3.3. თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) აღემატება 5000 ლარს და ასახული არ არის ამ დეკლარაციის სხვა ნაწილებში

ვის ჰქონდა შემოსავალი	შემოსავლის სახე	შემოსავლის ოდენობა (ღირებულება)

--	--	--

3.4. თქვენი, თქვენი ოჯახის წევრების სხვა სახის შემოსავლების ჯამური ოდენობა (ღირებულება), რომელთაგანაც თითოეული არ აღემატება 5000 ლარს და რომელიც ასახული არ არის ამ დეკლარაციის სხვა ნაწილებში: \_\_\_\_\_ ლარი

**ნაწილი IV. მონაცემები თქვენი, თქვენი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ**

4.1. თქვენი, თქვენი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები დეკლარაციის შევსების მომენტისათვის

ნივთის სახეობა, უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა	ნივთის მესაკუთრე (თუ ნივთი საერთო საკუთრებაშია, მიუთითეთ თანამესაკუთრის სახელი, მამის სახელი, გვარი)	ნივთის საბაზრო ღირებულება (თუ ნივთი წილობრივ საკუთრებაშია, მიუთითეთ აგრეთვე თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის წილის ოდენობა)
მიწის ნაკვეთი 1) 2) 3) საცხოვრებელი სახლი 1) 2) 3) აგარაკი 1) 2) 3) ავტოფარეხი 1) 2) 3) სატრანსპორტო საშუალებანი, მათ შორის საჰაერო, წყლის 1) 2) 3)		

სხვა უძრავი და მოძრავი ნივთები, რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება 5000 ლარს 1) 2) 3) 4) 5) სხვა ნივთების საბაზრო ღირებულების ჯამი		
---	--	--

4.2. თქვენს, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები, საწარმოს დივიდენდები

ფასიანი ქაღალდის სახეობა, ემიტენტი	ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე	ფასიანი ქაღალდის რაოდენობა	დივიდენდები

4.3. საბანკო დაწესებულებაში არსებული შენატანი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს

შენატანის განმკარგავი პირი	საბანკო დაწესებულების რეკვიზიტები	შენატანის სახეობა

შენიშვნა:

1. პირადობის მოწმობის არარსებობის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის მონაცემების ნაცვლად შეიტანება პასპორტის სერია და ნომერი.

2. მიეთითება მიწის ნაკვეთის სახეობა (სასოფლო, არასასოფლო), მდებარეობა, ფართობი.

დეკლარაციაში წარმოდგენილი მონაცემების სისრულეს და უტყუარობას

ვადასტურებ

„-----“ ----- 2... წ.

ხელმოწერა)

-----  
(რეპატრიანტის      სტატუსის      მაძიებლის